ოქმი:**ო12. 3725106001**

თარიღი:**16/04/2025**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 აპრილი
ქ.ოზურგეთი
16.00-16.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ღაჟონია, ბ. მელუა, მ. ვაშალომიძე, დ. მდინარაძე, ხ. თავდიშვილი, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: ელზა სიმონიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, განაცხადა, რომ აღნიშნული ცენტრი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა დაავადებების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით. ვრცლად ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, პროგრამების შესაბამისად, ისაუბრა თანამომხსენებელმა ე. სიმონიშვილმა. აღინიშნა ეპიდემიების პრევენციისა და გავრცელების წინააღმდეგ გაწეული საქმიანობის თაობაზე. კომისიის წევრებმა დასვეს შეკითხვები სხვა დაავადებების გამოვლენის შემთხვევებზე. საბოლოოდ კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მოიწონეს ანგარიში და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი